

სამოქალაქო მშენებლობა

დარგობრივი დოკუმენტი - სამუშაო ვარიანტი

I. სფეროს აღწერა

საინჟინრო-სამშენებლო აქტივობა უდიდეს გავლენას ახდენს გარემომცველ ფიზიკურ და სოციალურ გარემოზე. ადამიანი ყოველთვის მოწოდებული იყო და არის მისი გარემომცველი სამყაროს მუდმივი სრულყოფისა და გაუმჯობესებისაკენ.

სამოქალაქო მშენებლობად მოიაზრება საინჟინრო მოღვაწეობის სფერო დაკავშირებულია სხვადასხვა დანიშნულების (სამოქალაქო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური) შენობა-ნაგებობათა დაპროექტებასთან, გაანგარიშებასთან, აგებასთან, მათ საინჟინრო აღჭურვასთან, ექსპლუატაციასთან და გარემოზე მათი გავლენის შესწავლასთან. საგანმანათლებლო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო სამოქალაქო მშენებლობისათვის აუცილებელი კომპონენტების განვითარებას, არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს უმაღლესდამთავრებულების ზოგადი ტრანსფერული კომპეტენციების განვითარება.

საქართველოში დამკვიდრებულ ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში სამშენებლო საქმე ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდ და განვითარებად სექტორად ყალიბდება. წლიდან წლამდე სტაბილურად მზარდია მოთხოვნა აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ კადრებზე. სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ ქვეყნის მთლიანი სამშენებლო კომპლექსის გამართული ფუნქციონირება და ეკონომიკური განვითარება.

სამოქალაქო მშენებლობის მიმართულებით განათლების მიზანია მოამზადოს პრაქტიკულ, საინჟინრო/სამშენებლო საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სამოქალაქო მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების დასაბუთებულად და საიმედოდ გადაჭრას, შეეძლება პროფესიული გარემოს ორგანიზება-მართვა და ყოველთვის მოტივირებული იქნება თავის საქმიანობაში პროფესიული თვალსაზრისით მეტის მოღწევაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს სწავლების მხოლოდ პირველ საფეხურს – ბაკალავრიატს. აღნიშნულ საფეხურზე ხდება შესასწავლი დარგის – სამოქალაქო მშენებლობის საფუძვლების ათვისება.

სამოქალაქო მშენებლობის მიმართულებით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო საწარმოში/დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება ურბანულ/სასოფლო გარემოში წარმართულ საინჟინრო-სამშენებლო ინფრაქსტრუქტურის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციის სამუშაოებთან. აღნიშნულ სტრუქტურებში მათი სამსახურებრივი მდგომარეობა და მოქმედების არეალი შეიძლება განისაზღვროს დამწყები სპეციალისტიდან, აღმავალი ხაზით სხვადასხვა დონის მენეჯერამდე შესაბამისად შენობა-ნაგებობათა (სამოქალაქო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური) დაპროექტების, აგებისა და ექსპლუატაციის სამუშაოთა წარმართვის /ორგანიზების მოვალეობით.

II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

საგანმანათლებლო პროგრამა “სამოქალაქო მშენებლობა” მოწოდებულია სპეციალისტის მომზადებაზე პრაქტიკულ საინჟინრო საქმიანობაზე ორიენტაციით. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მთელი მოცულობის 2/3 ორიენტირებულია საბაზო და სპეციალურ საინჟინრო/სამშენებლო მიმართულებებზე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საინჟინრო მეცნიერებების ბაკალავრი სამოქალაქო მშენებლობაში (BEng in Civil Engineering)

III. სწავლის შედეგები

1. დარგობრივი კომპეტენციები:

1.1. დარგის ცოდნა და გაცნობიერება

- სამოქალაქო მშენებლობის საბაზო კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების ცოდნა;
- საინჟინრო პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მათემატიკური მეთოდების ცოდნა;
- სამოქალაქო მშენებლობაში მენეჯმენტისა და პროექტის ელემენტების ცოდნა და გაცნობიერება;
- სამოქალაქო მშენებლის პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის გათავისება;
- ტექნიკურ და გარემოს დაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერება

1.2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- შეუძლია საბაზო საბუნებისმეტყველო და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება საინჟინრო/სამშენებლო პრაქტიკაში;
- შეუძლია კონსტრუქციული სისტემების და მისი კომპონენტების - გაანგარიშება/კონსტრუირება;
- შეუძლია სამოქალაქო მშენებლობისათვის დამახასიათებელი საერთო პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაჭრა;
- შეუძლია თანამედროვე საინჟინრო/სამშენებლო პრაქტიკისათვის აუცილებელი მეთოდების, ტექნიკებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება;
- შეუძლია ექსპერიმენტის, საველე და ლაბორატორიული სამუშაოების დაგეგმვა და ჩატარება, ისევე როგორც მიღებული მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია;
- შეუძლია სამშენებლო სამუშაოების გარემოსათვის უვნებლად წარმართვა;

2. ზოგადი კომპეტენციები:

- შეუძლია ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება;
- შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია მშობლიურ და სულ მცირე ერთ უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- იყენებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- შეუძლია ჯგუშში ეფექტურად მუშაობა;
- აცნობიერებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების საჭიროებას.

IV. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლებისა და სწავლის მეთოდების განმსზღვრელია სწავლის შედეგები. ლექციებთან ერთად ტარდება პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, საპროექტო გეგმარება,

პროფესიული პრაქტიკა, სასწავლო პროცესში სხვადასხვა სახით პრაქტიკოსი მშენებლების/კონსტრუქტორი.

პროგრამაში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდები. უმრავლესი კურსები ძირითადად ფასდება ტესტირებებით მთელი სემესტრის განმავლობაში. საპროექტო, საველე და პრაქტიკული სამუშაოები ფასდება ინდივიდუალური და /ან ჯგუფური ანგარიშებით/პრეზენტაციებით.

დარგობრივი დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მას საფუძვლად დაედო თუნინგის კომპეტენციების კითხვარების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციები. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

1. ლალი ღოდელიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2. სერგო ესაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
3. ლევან კლიმაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. გოჩა მიქიაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
5. იური მელაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
6. გინა გურეშიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
7. ირმა ღარიბაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
8. თამარ კიკვიძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი